საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/20

ქ. ბათუმი 09 ივლისი, 2019 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბერის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის N70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/72 დადგენილებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/19 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბერის N02 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები, შინაგანაწესის:

ა) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ა) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობა ან ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული ,,საშუალო სიმძიმის“ კატეგორიის დარღვევა (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად);“;

ბ) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „თ” ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობა ან ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული „საშუალო სიმძიმის“ კატეგორიის დარღვევა (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად);“;

გ) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას;“

დ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„ 1^1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევაში რეაგირება ხორციელდება ამავე წესითა და ბსუ-ს ეთიკის კოდექსის შესაბამისად.“;

ე) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ზ” ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროფესორ-მასწავლებლის ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობა ან ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული „ნაკლებად მძიმე (მსუბუქი)“ კატეგორიის დარღვევა (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად);“;

ვ) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული „ნაკლებად მძიმე (მსუბუქ) ან „საშუალო სიმძიმის“ კატეგორიის დარღვევა (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად);“;

ზ) მე-20 მუხლის მე-4 პუნქტს ,,დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ჩაიდენს არაეთიკურ ქმედებას - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული ,,საშუალო სიმძიმის“ ან ,,მძიმე (უხეში)“ კატეგორიის დარღვევას (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად);“;

თ) მე-20 მუხლის მე-4² პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) პლაგიატი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა);“;

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით კონსოლიდირებული (კოდიფიცირებული) შინაგანაწესის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებლად წარდგენა უზრუნველყოს ბსუ-ს იურიდიულმა დეპარტამენტმა,
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**